ლელა პაპაშვილი

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმები

ნაშრომი წარდგენილია განათლების მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქ. ირმა ბარბაქაძე,

პროფესორი,

სამეცნიერო თანახელმძღვანელი: გიორგი გახელაძე,

მოწვეული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი, 2019

საავტორო უფლება 2019 ლელა პაპაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლელა პაპაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი:

თანახელმძღვანელი:

შემფასებელი:

ავტორი: ლელა პაპაშვილი

დასახელება: „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმები“

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე ცვალებად სამყაროში, ფორმალური განათლება უფრო და უფრო არასაკმარისი ხდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ გამოცდილებას, პრაქტიკას. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამინდელი შრომის ბაზარი (ასევე ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური ცვლილებები) მეტ მოქნილობასა და ცოდნას მოითხოვს, ადამიანები კვალიფიკაციის დადასტურების / აღიარების წინაშე დგებიან.

სრულფასოვანი განათლების სისტემის არსებობისთვის აუცილებელია არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების არსებობა, რადგანაც არ აქვს მნიშვნელობა ადამიანმა ცოდნა სად, როგორ და როდის შეიძინა, მთვარია, მან მისი რეალიზება შეძლოს.

არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების არსებობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია მოქალაქეების - დამსაქმებელთა, დასაქმებულთა თუ უმუშევარ პირთა სრულყოფილი ინფორმირება (მისი სარგებლის შესახებ ინფორმაციის მიწვდენა) .

არსებობს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი, რომელიც ადგენს, შეესაბამება თუ არა ადამიანის კვალიფიკაცია იმ მოთხოვნებს, უნარებსა და ცოდნას, რომელსაც კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე პირი უნდა აკმაყოფილებდეს.

ნაშრომის მიზანია, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების კვლევა, ასევე, იმის გამოვლენა თუ რა რისკები და უპირატესობები ახლავს თან აღნიშნული პროცესის განხორციელებას, რა გამოწვევების წინაშე არიან პროფესიული სასწავლებლები და რა ღონისძიების გატარებას გეგმავს სახელმწიფო საკითხის გაუმჯობესების კუთხით.

იქიდან გამომდინარე, რომ ამჟამად მიმდინარეობს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესში რეფორმები, ცვლილებების შეტანა ხდება წესშიც და ჯერ არ არსებობს დასრულებული ვერსია, საინტერესოა ჩემი კვლევა, რადგანაც მოიცავს იმ ექსპერტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში. ასევე, არ არსებობს საქართველოში ჩატარებული კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც

მოიცავდა, როგორც პროფესიულ სასწავლებლებს, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების მსურველ პირთა შეხედულებებს.

კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები : ინტერვიუ (ჩაღრმავებული ინტერვიუ), შინაარსის ანალიზი.

კვლევამ გამოავლინა, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრესის მხარდასაჭერად და შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ სისტემაში, ხარვეზების არსებობამ განაპირობა ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რათა უფრო მეტად მოქნილი და სრულყოფილი მექანიზმები შემუშავებულიყო პირის დასაქმებისა და პერსონალური განვითარების უზრუნველსაყოფად.

Resume

In the modern world of permanent changes formal education becomes more and more insufficient. Individual experience and practice is very important. While the current labor market (economic and technological changes as well) requires better flexibility and knowledge, people face the problem of qualification validation.

The existence of a full-fledged system of education requires the presence of the tools of informal education validation, since it does not matter where, how and when the person acquired knowledge, rather important for him/her is to be able to pursue it.

The most significant process for the existence of the tools of informal education validation is informing the citizens – employers, employees and unemployed people (raise awareness about its benefits).

The rule of non-formal professional education validation exists in Georgian legislation. It determines whether the person's qualification meets the demands, skills and knowledge required for a person of certain qualification.

The purpose of this thesis is to research the tools of non-formal professional education validation, to identify the risks and benefits associated with the implementation of the named process, to discuss the challenges that the professional institutions have to face and the measures planned by the state to improve the current situation.

Since the process of non-formal professional education validation is currently going through the phase of reforms, changes are made in the rules and the final version does not yetexist, my research is deserves interest, because it includes in-depth interviews with the experts personally involved in the named process. No other study has been conducted in Georgia that would include the opinions of both – of the professional educational institutions and of those aspiring for the validation of non-formal education.

The study uses qualitative methods: interview (in-depth interview), content analysis.

This research found that the matter of non-formal professional education validation is very important to maintain progress in the field of education and to meet the demands of the labor market. Gaps in the named system created the need of changes, to develop more flexible and advanced tools that ensure employment and personal development.

სარჩევი

შესავალი 8

1. ლიტერატურის მიმოხილვა 12

2. კვლევის მეთოდოლოგია 26

3. კვლევის შედეგები 28

დასკვნა 38

რეკომენდაციები 41

გამოყენებული ლიტერატურა 43

დანართები 44

შესავალი

ადამიანებს გვაქვს შესაძლებლობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში შევიძინოთ გარკვეული უნარები, ცოდნა და კომპეტენციები (როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში). კვალიფიკაციის მინიჭება მხოლოდ ფორმალური განათლების გზით არ ხორციელდება. არსებობს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი, რომელიც ადგენს, შეესაბამება თუ არა ადამიანის კვალიფიკაცია იმ მოთხოვნებს, უნარებსა და ცოდნას, რომელსაც კონკრეტული კვალიფიკაციის მქონე პირი უნდა აკმაყოფილებდეს.

არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2018).

არაფორმალური განათლების აღიარების მიზანი არის პირის ცოდნის, უნარების, ასევე მიღწევების დადასტურება. უნდა მოხდეს მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა შესაბამისი პროცესებისა თუ მექანიზმების საშუალებით.

ევროპული სახელმძღვანელოს (European Guidelines for validating non-formal and informal learning, CEDEFOP, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2009) მიხედვით, არაფორმალური განათლების აღიარება

ნიშნავს: „კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის დადასტურებას, რომ პირის მიერ ფორმალურ, არაფორმალურ თუ ინფორმალურ გარემოში შეძენილი სწავლის შედეგები შეფასდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და ისინი აკმაყოფილებენ აღიარების/ვალიდაციის სტანდარტების მოთხოვნებს.“ აღიარება დასტურდება სერთიფიკატით. (არაფორმალური განათლების (VNFIL) აღიარების გზამკვლევი მოდულისთვის „მეწარმეობა“, 2017)

პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოდულური სტრუქტურის შემუშავებამ (რაც საშუალებას იძლევა ღიარდეს ცალკეული მოდულები და სწავლის შედეგები) , სამუშაოზე დაფუძნებულმა სწავლებამ (კომპეტენციებზე დაფუძნებული ტრენინგი და შეფასება), ასევე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განვითარებამ, ხელი შეუწყო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებას. (ინტერვიუ, ანასტასია ქიტიაშვილი, 2019)

საქართველოში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საჭიროება ორი პერსპექტივიდან განიხილება :

1) საგანმანათლებლო პროგრესის მხარდაჭერა (ხელმეორედ სწავლის შესაძლებლობის მიცემა იმ პირებისთვის, რომლებმაც მიატოვეს სისტემა); არაფორმალური განათლების აღიარება ასრულებს ფორმალური განათლების სისტემის კვალიფიკაციების სერტიფიცირების ფუნქციას.
2) შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე (ძირითადად, ადამიანები სპეციალიზირებულ უნარებსა და ცოდნას დასაქმების შემდეგ იძენენ, ეს შეიძლება იყოს ტრენინგების ან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით, რაც ყოველთვის არ შედის ფორმალური განათლების სისტემის კვალიფიკაციებში); (ინტერვიუ, ქიტიაშვილი, 2019)

არაფორმალური განათლების აღიარება დიდ შანსს აძლევს იმ ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ ცოდნა და უნარები , მაგრამ არ აქვთ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთ პირებს უწევთ შედარებით დაბალ ანაზღაურებაზე მუშაობა (ინტერვიუები დასაქმებულებთან - დამადასტურებელი მაგალითია).

ნაშრომში ძირითადად განხილულია პროფესიული განათლების კანონი, არაფორმალური განათლების აღიარების პროცესები (გზამკვლევები) , უცხოური გამოცდილება (არაფორმალური განათლების აღიარებისას ევროპაში არსებული შეფასების მეთოდები).

საინტერესოა, ხელოსანთა (ძირითადად სამშენებლო სფეროში დასაქმებულ პირთა) გამოცდილება არაფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკასთან დაკავშირებით, რა ბარიერები არსებობს მათი დასაქმების კუთხით, რა დაბრკოლებები ექმნებათ უსერტიფიკატო „პროფესიონალ ხელოსნებს“.

წინასწარი ვარაუდით, ხელოსნები, რომელთაც დადასტურებული კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, საქართველოს საზღვრებს შიგნით, დიდად არ საჭიროებენ სერტიფიკატს, მათ არ იციან არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ, ძალიან მცირე ან სულაც არ ექმნებათ დაბრკოლება იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, ძირითადი წინაღობა ქვეყნის გარეთ გაშვებული უსერტიფიკატო ხელოსანია, რომელსაც დიდი ალბათობით არ დაასაქმებენ ან ჩვეულებრივი „მუშის“ სტატუსით დაბალ ანაზღაურებაზე ამუშავებენ. ასევე, დაბრკოლებას შეიძლება წარმოადგენდეს, საქართველოში მყოფი უცხოელი დამკვეთი, რომელსაც არამარტო გამოცდილება, არამედ შესაბამისი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი აინტერესებს. ამიტომაც, უპირატესობას ისევ უცხოელებზე ან გამოუცდელ, მაგრამ განათლების მქონე პირზე აკეთებს.

იმის გათვალისწინებით, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხი დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება, არაფორმალური განათლების აღიარებისთვის, 2016-2018 წლებში შემუშავდა საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი მეთოდოლოგია. (2017-2018 წლების ანგარიში, პროფესიული განათლება)

მნიშვნელოვანია, საქართველოში მიღებული სტანდარტებისა და პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე, ევროპულ გამოცდილებასთან შესაბამისობის გაზრდა. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაა (2013 - 2020 წწ) მიაწოდონ დამსაქმებლებს ინფორმაცია პირის უნარების შესახებ, ხოლო სამუშაოს მაძიებელს მისცენ სამუშაოზე განვითარებისა თუ განათლების ზედა საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა. (პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლები)

კვლევის მიზანია, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების უპირატესობების, რისკებისა და გამოწვევების, ასევე, ძველი და ახალი წესის შედარებითი ანალიზი და მისი პროცედურების გაცნობა საზოგადოებისთვის.

კვლევა მოიცავს თვისებრივი კვლევის ელემენტებს (ინტერვიუ / ჩაღრმავებული ინტერვიუ, შინაარსის ანალიზი) , რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხელოსნებმა, სახელობო კურსის სტუდენტებმა, პროფესიული სასწავლებლების დირექტორებმა, პროფესიული განათლების ექსპერტებმა, განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის ექსპერტებმა.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა არაფორმალურ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით;

საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ ვკითხულობთ, რომ ***არაფორმალური განათლება*** არის „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“, ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას.“

არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით (ხოლო რეგულირებადი პროფესიების შემთხვევაში, არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით). (საქართველოს 2018 წლის 20 სექტემბრის კანონი №3437)

არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებსა და წესს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი. (საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ 2018)

საქართველოში, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანება პირველად გამოქვეყნდა 2011 წელს, განათლებისა და მეცნიერების იმჟამინდელი მინისტრის, დ.შაშკინის მიერ. აღნიშნული წესის მიხედვით, არაფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისთვის (გარდა რეგულირებადი პროფესიებისა). ამ დროს, პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისთვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება ხდება, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში არსებული კომისია. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ამტკიცებს განცხადების განხილვის პროცედურას, განსაზღვრავს მისი წარდგენის ვადებსა და კომისიის საქმიანობას, ასევე გამოცდის ჩატარების თავისებურებებს. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №171/ნ)

ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, პირს, რომელსაც სურს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს პირადი განცხადება, ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი თუ სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეიცავს ინფორმაციას მისი განხორციელებული საქმიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს უფლება, აღიარების მსურველს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია მისი ცოდნისა და უნარების შესამოწმებლად.

განცხადების განხილვის პროცედურები მოიცავს განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას, პრაქტიკის შედეგად მიღებული კომპეტენციების ჩათვლას, გამოცდის ორგანიზებასა და გადაწყვეტილების მიღებას

(არაფორმალური განათლების აღიარების ან არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ), ეს პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

გადაწყვეტილებას ხელს აწერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვის მიზნით, წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ)

არსებული წესის საფუძველზე (ბრძანება №8, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 03.02.2011), აღიარების გარკვეული გამოცდილება არსებობს რამდენიმე კოლეჯში (კოლეჯი „აისი“, კოლეჯი „ახალი ტალღა“). ცოდნის აღიარება მოხდა სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიული პროგრამის მეოთხე საფეხურზე გააგრძელეს სწავლა (ზოგადი განათლების მერე), მათ არ ჰქონდათ გავლილი მესამე საფეხურის პროგრამა. (იხ. დანართი 1)

1.2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესი და პროცედურები

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების სისტემურ ანალიზში (ივნისი, 2015) ვკითხულობთ, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების გზით იგეგმება ახალი მოდულური კვალიფიკაციების განვითარება, 2014 წელს მომზადებულ კონცეფციაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინებით. აღნიშნული კონცეფციის დანერგვა მოითხოვს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ძლიერი მექანიზმების არსებობას. არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია შეესაბამება ევროკავშირის პროექტის მიერ შემოთავაზებულ გარე და შიდა ვერიფიკაციის (შემოწმების) მექანიზმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხაზს უსვამს პროფესიული განათლების უზრუნველყოფის სისტემაში ევროპული გამოცდილების სრულად გაზიარებას, ეს უკავშირდება ისეთ სფეროებს, როგორიცაა პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, მობილობის ხარისხი, საზღვარგარეთ მიღებული კვალიფიკაციები, არაფორმალური განათლების აღიარება და ა.შ.

არაფორმალური განათლების აღიარების ძირითადი ევროპული პრინციპები ევროსაბჭომ 2004 წლის მაისში მიიღო.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ არაფორმალური და ინფორმალური განათლება:

<u>არაფორმალური განათლება</u> გულისხმობს „ისეთ დაგეგმილ სასწავლო აქტივობებს, რომლებიც ორგანიზებულია ფორმალური განათლების სისტემის გარეთ (მათ შორისაა ზრდასრულთა განათლება და ტრენინგი, ონლაინ ან დისტანციური სწავლება, სათემო განათლება, რომელიც ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ)“, ხოლო *<u>ინფორმალური განათლება</u>* (თვითსწავლა) – „ ისეთ სწავლას, რომელიც არ არის ორგანიზებული ან სტრუქტურირებული; პირი უნარებსა და ცოდნას იძენს დაუგეგმავად ან უნებლიედ ცხოვრების მანძილზე და მუშაობის პროცესში; მათ შორის შედის ექსპერიმენტული და თვით-სწავლა.“ (MCA საქართველო, პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის, არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვა საქართველოში, კონცეფცია, ოქტომბერი, 2015)

არაფორმალური განათლების ფარგლებში, სწავლის შედეგების აღიარებას ხელი შეუწყო პროფესიული განათლების სფეროში კვალიფიკაციების განსაზღვრამ.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ პროფესიული კვალიფიკაციების შეფასებები უფრო მეტად მოიცავს **„წინმსწრები განათლების აღიარების“** პროცედურებს, რაც პირს აძლევს შესაძლებლობას დაიდასტუროს ადრე მიღებული განათლება / მიღწევები, შესაბამისად, მიიღოს მთლიანი კვალიფიკაცია ან დააგროვოს კრედიტები კვალიფიკაციის სამომავლოდ მისაღებად.

არაფორმალური განათლების აღიარებით შესაძლოა დაინტერესდნენ: ის პირები, რომლებსაც სურთ, საგანმანათლებლო სისტემის გარკვეული პერიოდით მიტოვების შემდეგ სწავლის გაგრძელება; ისინი, რომელთაც არ გააჩნიათ ფორმალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უმუშევარი ადამიანები, რომელთაც ესაჭიროებათ საკუთარი ცოდნისა და უნარების დადასტურება დამსაქმებელთან, ასევე, რომლებმაც სამუშაო ადგილზე მიიღეს არაფორმალური განათლება.

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპს. ესენია:

- ✓ იმ სწავლის შედეგების **იდენტიფიცირება,** რომელიც ადამიანს შეძენილი აქვს არაფორმალური სწავლის გზით;
- ✓ პირის სწავლის შედეგების შესახებ **დოკუმენტების შეგროვება** შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად;
- ✓ პირის სწავლის **შედეგების შეფასება** წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე;
- ✓ კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევების **სერტიფიკატით დადასტურება.** (გზამკვლევი, პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის, 2015)

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ეტაპი:

1. <u>იდენტიფიცირება</u> არის ეტაპი, როდესაც მაძიებელი პირველად ხვდება არაფორმალური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პირს, რომელიც **კონსულტანტის** ფუნქციას ასრულებს.

კონსულტანტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს საჭირო ცოდნა, რათა მაძიებელს სათანადო დახმარება გაუწიოს, მისი კონსულტაცია აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად (მაძიებელს სჭირდება დახმარება იმის გასაცნობიერებლად, თუ რამდენად უკავშირდება თავისი ცოდნა და უნარები პროფესიულ/საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც მოხდება აღიარება).

მაძიებელთან შეხვედრები მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- ნაბიჯების იდენტიფიცირება (რაც საჭიროა არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების მისაღწევად);
- პრობლემების იდენტიფიცირება(ასევე, მაძიებლის დახმარება პრობლემის გამკლავების გზების ძიებაში);
- ძლიერი სფეროების იდენტიფიცირება(მისი გამოყენების სწავლება);
- წინა საგანმანათლებლო გამოცდილების იდენტიფიცირება;
- მტკიცებულებების იდენტიფიცირება (რომელიც ადასტურებს პირის წინა სწავლებას/განათლებას); (არაფორმალური განათლების აღიარება, გზამკვლევი, ოქტომბერი, 2016)

კონსულტანტთან შეხვედრები ფორმდება წერილობით, რაც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შეხვედრის თარიღების, განხილული საკითხების, შესაბამისი სასწავლო გამოცდილების იდენტიფიცირებისა და მტკიცებულებების (რომ წინმსწრები განათლება პოტენციურად შეესაბამება შერჩეულ სტანდარტებს) შესახებ. (იხ. დანართი 2)

2. <u>დოკუმენტირება</u> - მას შემდეგ, რაც მაძიებელი და კონსულტანტი შეთანხმდებიან შესაბამის სასწავლო გამოცდილებაზე, იწყება მტკიცებულებების შეგროვებისა და დოკუმენტირების პროცესი (მაძიებელი თავად აგროვებს პირდაპირ, არაპირდაპირ და თვითრეფლექსიის მტკიცებულებებს) ;

პირდაპირი მტკიცებულება ადასტურებს იმას, თუ რისი გაკეთება შეუძლია მაძიებელს. იმ პირის მხრიდან ხდება წერილობითი დადასტურება მაძიებლის სამუშაო უნარების შესახებ, ვინც აკვირდებოდა მას (ის სეიძლება იყოს ხელმძღვანელი, მენტორი, მომხმარებელი ან კლიენტი);

არაპირდაპირი მტკიცებულება არის დამხმარე მტკიცებულება, მაგალითად, რეზიუმე ან CV (რეკომენდაციები, კურსზე დასწრების ჩანაწერები და ა.შ.) ;

თვითრეფლექსიის მტკიცებულება შესაძლოა მოწოდებული იყოს წერილობითი ანგარიშის ფორმით ან შემთხვევის შესწავლით (თვითრეფლექსიის დღიური, სასწავლო ჟურნალის ამონარიდები) ;

არაფორმალური განათლების აღიარების დოკუმენტური მტკიცებულებები იკრიბება პორტფოლიოში (შესაძლოა ელ. პორტფოლიოც). ის კარგად უყრის თავს მაძიებლის გამოცდილებასა და ასახავს მის მიღწევებს. (იხ.დანართი 3)

თუ არ არის საკმარისი მტკიცებულებები და მაძიებელი არ არის მზად შეფასებაზე გასასვლელად, ასეთ შემთხვევაში მან უნდა მიმართოს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას, რაც დაეხმარება უნარ-ჩვევების განვითარებასა და შეფასების პროცესის დაწყებაში.

3. <u>შეფასება</u> - საგანმანათლებლო დაწესებულების შედგენილი კომისიის მიერ შეფასების განხორციელება.

კომისიას ევალება მაძიებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასება და დახარისხება (საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე). მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილი მასალები რამდენად არის საკმარისი, ნამდვილი და მიმდინარე (მტკიცებულებები ამჟმინდელ განათლებას, სამუშაოსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს თუ უკავშირდება).

შესაძლოა საჭირო გახდეს კონკრეტული უნარების დემონსტრირება, ამისთვის კი საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობის მომარაგება და ტარდება გამოცდა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, როგორც ზეპირი ან ტესტირების სახით, ასევე დაკვირვების გამოყენებით.

არაფორმალური განათლების აღიარების შეფასება მოიცავს ტესტირებას, გამოცდებს, დეკლარაციულ მეთოდებს, პორტფოლიოს მეთოდსა და დაკვირვებას.

არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის მთლიანობა დამოკიდებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე (შეფასება და არაფორმალური განათლების აღიარების სერტიფიცირება), მისი სანდოობის გარეშე შეუძლებელი იქნება ამ სისტემის დანერგვა პროფესიული განათლების სფეროში.

შეფასებების **შიდა შემოწმებისას** (ვერიფიკაცია) არაფორმალური განათლების აღიარების გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მოწმდება იმ პირების მიერ, რომლებიც ჩართულნი არ არიან ამ პროცესში. ხოლო **გარე შემოწმება** გულისხმობს სხვადასხვა დაწესებულებიდან შერჩეული შეფასებების დამოუკიდებელ შემოწმებას. აღნიშნული ვერიფიკაციის მიდგომა საჭიროა იმისთვის, რომ გადამოწმდეს არაფორმალური განათლების აღიარების შედეგები. (გზამკვლევი, პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის, 2015)

შეფასების პროცესის შედეგია ორიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

1) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლითაც დაკმაყოფილებულია მთლიანი ან ნაწილობრივი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო მოთხოვნები და ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მაძიებელი სერტიფიცირების ეტაპზე გადადის;
2) მტკიცებულებები არ არის საკმარისი და მაძიებელს ეძლევა შანსი შექმნას ახალი ან დამატებითი მტკიცებულება და ხელახლა გაიაროს შეფასება.

4. <u>სერტიფიცირება</u> არის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ბოლო ეტაპი, რომლის დროსაც ხდება მაძიებლის ცოდნისა და გამოცდილების სერტიფიკატით დადასტურება (შეიძლება იყოს მთლიანი ან ნაწილობრივი მოდულური პროფესიული კვალიფიკაციის დადასტურება);

არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი დაწესებულება სერტიფიცირების პროცესს წარმართავს ცენტრის მოთხოვნების სრული დაცვით. (გზამკვლევი, არაფორმალური განათლების (VNFIL) აღიარება, ოქტომბერი, 2016)

დაფინანსება და ხარჯები

არაფორმალური განათლების აღიარების ხარჯები დამოკიდებულია იმ სექტორებზე, რომელშიც ტარდება აღიარება. ღირებულება შესაძლოა მკვეთრად განსხვავებული იყოს კვალიფიკაციების მოთხოვნების მიხედვით. ცალკეული შეფასებები უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ჯგუფური შეფასება. გასათვალისწინებელია, მიმწოდებელი დაწესებულების და მათი პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაციების მიერ დაქირავებული ექსპერტ-სპეციალისტების ანაზღაურება. როგორც გზამკვლევში „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითრებისთის“ ვკითხულობთ, აღნიშნული საკითხის პილოტირების პროცესი ხელმისაწვდომს გახდის ინფორმაციას არაფორმალური განათლების აღიარების ხარჯებზე სხვადასხვა სექტორში და ასევე, იმ კანდიდატების უნარსა და სურვილს, დაფარონ აღიარების

ხარჯები, რაც საშუალებას მისცემს დაფინანსების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი თეა სიფრაშვილი ლიბერალთან მიცემულ ინტერვიუში (სალომე გორგოძე, 16/11/2016) ამბობს, რომ *„არაფორმალური განათლება პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, კვლევები აჩვენებს, რომ განათლების 60 %-ზე მეტი სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. ამიტომაცაა, რომ განათლების სისტემის რეფორმები, სწორედ არაფორმალური განათლების ელემენტების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხარჯზე ხდება".*

ექსპერტ-კონსულტანტი პროფესიული განათლების სფეროში, ანასტასია ქიტიაშვილი, აღნიშნავს, რომ არაფორმალური განათლების *„აღიარების გამოცდილება არსებობს ზოგიერთ კოლეჯში. თუმცა, არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, შესაბამისი მეთოდოლოგიური და ადამიანური რესურსების განვითარებას, ფინანსური რესურსების ორგანიზებას, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენასა და გაზიარებას, ინფორმირების შესაბამისი სისტემების ჩამოყალიბებას, სოციალური პარტნიორებისა და ზოგადად, დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას".* (ინტერვიუ, 2017)

1.3. უცხო ქვეყნების გამოცდილება

არაფორმალური განათლების წარმომავლობის გასაგებად, უნდა დავბრუნდეთ წარსულში და მივყვეთ „სოციალურ მოძრაობათა" კვალს, რომლის მიზანი იყო სოციალური სამართლის დაფუძნება და იმ ადამიანების მხარდაჭრა, რომლებიც ფორმალური განათლების მიღმა რჩებოდნენ (ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, ძირითადად დანიაში, სადაც გვაქვს სახალხო განათლების მაგალითები ჯერ

კიდევ მე-15 საუკუნიდან).სახალხო, ე.წ. „ქუჩის უნივერსიტეტები“ იყო მოწყობილი ისე, რომ განათლების მიღების მსურველთ შეეძლოთ ცოდნის დაუფლება სამუშაო დღის დასღულების შემდგომ. აღნიშნული მოძრაობა გაძლიერდა 1936 წელს (საფრანგეთი). სახალხო განათლება გადაიქცევა არაფორმალურ განათლებად (1970წ), რომლის მიზანია მიიღოს საუკეთესო ცოდნის აღიარება. (https://www.france-libertes.org/fr/, ივნისი, 2019)

არაფორმალური განათლების მნიშვნელობის გაგებისთვის უნდა განვმარტოთ ფორმალური და ინფორმალური განათლება: ფორმალური განათლება არის შესაბამისი დიპლომით დადასტურებული სწავლის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო ინფორმალური განათლება - სწავლების პროცესი, რომელიც მთელი ცხორების მანძილზე გრძელდება, შეიძინება ყოველდღიური გამოცდილებით. ადამიანები სწავლობენ თავიანთი ოჯახებისგან, მეზობლებისგან, სამუშაო ადგილიდან, საკითხავი ლიტერატურიდან, მასმედიიდან (თეატრი, კინო, მუსიკა, სატელევიზიო დებატები). ის არის ხშირად არადაგეგმილი და არაკონსტრუირებული. (https://www.france-libertes.org/fr/, ივნისი,2019)

დიდი ხანია, რაც არაფორმალური განათლების წარმომადგენლები არიან საკმაოდ მნიშვნელოვან სასიცოცხლო მოვლენებსა და კრიზისის მართვაში ჩართულნი (მაგალითად ომი,კომფლიქტი, ბუნებრივი კატასტროფა, სოც.უთანასწორობა და ა.შ).

არაფორმალური განათლების აღიარების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაათანაბროს ფორმალური და არაფორმალური გზით მიღებული განათლების დიპლომები. აღნიშნული პროცესი პირს შრომის ბაზარზე დასაქმების დიდ შანსს აძლევს. თითოეულ ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი უნარები და პროფესიონალიზმი. (https://ec.europa.eu/ მაისი, 2019)

რა პრობლემები ახლავს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესს?

- ✓ ფინანსური მდგომარეობა - ადამიანებს, რომლებსაც სჭირდებათ არაფორმალური განათლების აღიარება და არ გააჩნიათ სათანადო მატერიალური მდგომარეობა;
- ✓ თეორიული ცოდნის ნაკლებობა;
- ✓ ნეოლიბერალური ეკონომიკის სივრცე - გარემოს მოთხოვნებთან შეუსაბამობა, შრომის ბაზრისა და უნარების ურთიერთკავშირი;
- ✓ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ✓ სფეროების იდენტიფიცირება; (ევროსაბჭო, ვებ. გვერდი,https://ec.europa.eu/, 2019)

არაფორმალური განათლება არის მორგებული პირთა საჭიროებებზე ისე, რომ არ მოხდეს მათი ფინანსური თუ დროითი დანაკარგები. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, მოდულარიზაცია კარგად ერწყმის ინფორმალურ და არაფორმალურ განათლების აღიარებას, რადგანაც საერთაშორისო ასპარეზზე, ეს უკანასკნელი მაძიებელს თავისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენების საშუალებას მისცემდა. (UNESCO, 2004)

„ერასმუს + საქართველოს“ ეროვნული ოფისის კოორდინატორი ლიკა ღლონტი აღნიშნავს, რომ *„არაფორმალური განათლების აღიარების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრაქტიკა **საფრანგეთსა და შვეიცარიაშია**, სადაც ეს უმაღლესი განათლების დონეზე ხდება.*

მაგალითად, თუკი ადამიანი წლების განმავლობაში განათლების ადმინისტრირების სფეროში მოღვაწეობს, მაგრამ ფორმალურ დონეზე იურიდიული განათლება აქვს მიღებული, შეუძლია განათლების სფეროში თავისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (კვლევებსა და ტრენინგებში მონაწილეობა, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ა.შ) წარუდგინოს სპეციალურ კომისიას. რომელიც, თავის მხრივ, შეაფასებს, დაინტერესებული პირის ცოდნა და კომპეტენცია შეესაბამება თუ არა იმ ცოდნასა და უნარს, რასაც უნდა ფლობდეს, მაგალითად, მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მიღების შემთხვევაში. თუკი ეს ორი რამ ერთმანეთთან თანხვედრაშია, მაშინ ხდება მისი არაფორმალური განათლების აღიარება და მაგისტრის ხარისხის მინიჭება.

ფინეთში *არაფორმალური განათლების აღიარების საჭიროება მას შემდეგ წარმოიშვა, რაც შრომით ბაზარზე კომპეტენციაზე დაფუძნებული კვალიფიკაციის მოთხოვნა გაჩნდა, ანუ საჭირო გახდა კვალიფიკაციის ოფიციალური დადასტურება. არსებობდა ძალიან ბევრი ადამიანი, რომელსაც ჰქონდა კვალიფიკაცია, მაგრამ არ ჰქონდა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, ეკონომიკური სექტორის ფორმალიზებამ კი მათთვის მათი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის საჭიროება წარმოშვა.*

ნორვეგიაში *კი არსებობს სპეციალური საკონსულტაციო ცენტრები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს. ამ ცენტრებში დაინტერესებულ პირს ცენტრის თანამშრომლები აძლევენ „მიმართულებას“, - ერთი მხრივ, ეცნობიან მის კომპეტენციას, ამაზე დაყრდნობით კი აწვდიან ინფორმაციას, თუ კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღებად რა სახის კომპეტენცია აკლია, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მოკლევადიანი ტრენინგის გავლა ან გამოცდის ჩაბარება. რაც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, ერთი მხრივ, იცოდნენ, კონკრეტული კვალიფიკაციის მისაღებად რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ, მეორე მხრივ, სად და როგორ მიიღონ დამატებითი კომპეტენციები იმისთვის, რომ მათი კვალიფიკაცია აღიარონ.“* (ინტერვიუ, სალომე გორგოძე, 2016)

არაფორმალური განათლების აღიარების მეთოდები ევროპაში :

არაფორმალური განათლების აღიარებისას ევროპაში გამოიყენება შეფასებისა და სერტიფიცირების სხვადასხვა პროცედურები , რომელთაგან შესაძლოა გამოვყოთ : ტესტირება და გამოცდები; დეკლარაციული მეთოდები; პორტფოლიოს მეთოდი;

დაკვირვება (სხვა მეთოდები - სიმულაცია და სამუშაოდან მოპოვებული მტკიცებულებები); (არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვა საქართველოში, 2015)

- **პორტფოლიო** - მოიცავს პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტირებულ მტკიცებულებას საკუთარი მიღწევების შესახებ. რაც შეიძლება მოიცავდეს ჯილდოებსა და დამსაქმებლის რეკომენდაციებს;
- **ზეპირი შეფასება** - დებატები, ინტერვიუები, პრეზენტაციები;
- **სიმულაციები და პრაქტიკული ტესტები** - მისი ჩატარება ზოგჯერ საკმაოდ ძვირია. ამ მეთოდების გამოყენება არაფორმალური განათლების აღიარებას ნაკლებად მოქნილს ხდის, თუმცა ისინი ხშირად ერთადერთი გზაა კანდიდატის პრაქტიკული უნარების დემონსტრირებისა და შეფასებისთვის.
- **წერილობითი ტესტები და დავალებები** - კოგნიტური უნარების შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია და არაფორმალური განათლების აღიარების მსურველ კანდიდატს იმავე მოთხოვნებს უყენებს, რაც ფორმალურ განათლებაში არის მიღებული (მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდები საკმაოდ პოპულარულია, იაფია და ხშირად ძალზე ადვილად ჩასატარებელიც, არაფორმალური განათლების აღიარებისათვის არც თუ ისე რელევანტურია, რადგან ამ გზით ძირითადად ცოდნის შესახებ მტკიცებულებები გროვდება). (არაფორმალური განათლების აღიარება მოდულისთვის „მეწარმეობა“, 2017)

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისთვის გამოყენებულია **თვისებრივი მეთოდები** : ჩაღრმავებული ინტერვიუ და შინაარსის ანალიზი. აღნიშნულმა მეთოდებმა საშუალება მომცა საუბარი ყოფილიყო არაფორმალური ხასიათის, რათა კვლევაში მონაწილეს შესძლებოდა თავისუფლად გადმოეცა აზრი საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებით.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ხელოსნები, სახელობო კურსის სტუდენტები, პროფესიული სასწავლებლის დირექტორები, პროფესიული

განათლების ექსპერტები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები.

სულ გამოიკითხა 4 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მდებარეობდა კახეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში, ასევე 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამშენებლო ფაკულტეტი.

კვლევაში ასევე მონაწილეობდა 10 ხელოსანი, აქედან 3 იყო დასაქმებული საზღვარგარეთ (ამერიკა, ინგლისი, პოლონეთი), 3 პროფესიული განათლების ექსპერტი, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის მართვასა და წესის შემუშავებაში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3-მა სამშენებლო კომპანიამ.

2.1. კვლევის რისკები

კვლევის რისკებს წარმოადგენდა სახელობო სფეროში დასაქმებულ პირთა ინფორმირებულობის ნაკლებობა არაფორმალურ პროფესიულ განათლების აღიარებასთან დაკავშირებით; ასევე, ექსპერტთა და დამსაქმებელთა დროის ფაქტორი (დროის უქონლობის, უცხოეთში ყოფნის გამო, დიდი დრო დასჭირდა კვლევის ჩატარებას);

მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა აღნიშნული კვლევის სრულყოფილად ჩატარება.

2.2.ეთიკური საკითხები

კვლევაში მონაწილეთა კონფიდენციალურობა მკაცრად არის დაცული, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო სფეროს ექსპერტებისა, რადგანაც მათ თავიანთი ვინაობის საჯაროობაზე განმიცხადეს თანხმობა .

კვლევაში მონაწილე პირებს გავაცანი კვლევის შინაარსი, ვესაუბრე მათი როლის მნიშვნელობაზე აღნიშნული საკითხის სრულყოფაში, შევათანხმე ინტერვიუს ჩაწერის პირობები (კვლევაში მონაწილეობაზე მათი ოფიციალური თანხმობის შემდეგ).

2.3. კვლევის მიზანი და ჰიპოთეზა

კვლევის მიზანია, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების უპირატესობების, რისკებისა და გამოწვევების, ასევე, ძველი და ახალი წესის შედარებითი ანალიზი და მისი პროცედურების გაცნობა საზოგადოებისთვის.

კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენს ის, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების შესახებ ადამიანები ნაკლებინფორმირებულები არიან; **წინასწარი ვარაუდით,** ხელოსნები, რომელთაც დადასტურებული კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, საქართველოს საზღვრებს შიგნით, დიდად არ საჭიროებენ სერტიფიკატს, მათ არ იციან არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ, ძალიან მცირე ან სულაც არ ექმნებათ დაბრკოლება იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში. ასევე, დაბრკოლებას შეიძლება წარმოადგენდეს, საქართველოში მყოფი უცხოელი დამკვეთი, რომელსაც არამარტო გამოცდილება, არამედ შესაბამისი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი აინტერესებს. ამიტომაც, უპირატესობას ისევ უცხოელებზე ან გამოუცდელ, მაგრამ განათლების მქონე პირზე აკეთებს.

3. კვლევის შედეგები

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობა არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღიარების გარკვეული გამოცდილება არსებობს რამდენიმე კოლეჯში (ცოდნის აღიარება მოხდა იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიული პროგრამის მეოთხე

საფეხურზე გააგრძელეს სწავლა (ზოგადი განათლების მერე), მათ არ ჰქონდათ გავლილი მესამე საფეხურის პროგრამა), ასეთი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა ძალიან მცირეა, რადგანაც საკითხი დახვეწას საჭიროებს.

ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ 2016 წლის შემოდგომიდან გაეროს პროექტის ფარგლებში ჩაერთო არაფორმალური განათლების პროცესში, რომლის დასრულების შემდგომ მისმა კოლეჯმა გასცა რამდენიმე ცნობა კონკრეტული შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით. – "*თუმცა **მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში გაიცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. მომავალში ზუსტად ასე იქნება.**" (საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი)* , მისივე თქმით, ხშირი არ არის მიმართვიანობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (რაც სავარაუდოდ, ინფორმაციის ნაკლებობითაა გამოწვეული).

იმ კითხვაზე, თუ რამ განაპირობა არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბება კოლეჯების წარმომადგენლების აზრი თითქმის მსგავსი იყო - ***„სერტიფიკატის არსებობის სურვილს განაპირობებს შრომის ბაზარზე დასაქმება და დამკვიდრება."***

ერთ-ერთი კოლეჯის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ - ***„დღეისათვის ხშირია შემთხვევები, როდესაც პიროვნებებს აქვთ არაფორმალური განათლება, ვინაიდან მათ ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე მუშაობა უწევთ რეალურ სამუშაო გარემოში და დაუგროვდათ სათანადო გამოცდილება. ამავდროულად ჩამოუყალიბდათ საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები."***

გამოკითხული კოლეჯების დირექტორები დადებითად აფასებენ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხს, საუბრობენ მის აუცილებლობაზე – ***„დადებითად მინდა აღვნიშნო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხი, რადგან ეს არის ის გზა რომელიც შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირებს***

ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას მოკლე დროში. „მოკლე გზა დასაქმებისაკენ"-ეს უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ხელშეწყობის ხერხემალი." (ერთ-ერთი საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი)

გამოკითხული ოთხი კოლეჯიდან:

1 - აწარმოებდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასა და გასცემდა სერტიფიკატს; მისი დირექტორი აღნიშნავდა (ინტერვიუს დროს), - ***„აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელშიც ვფიქრობ ყველა პროცედურაა გაწერილი, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ წესი საჭიროებს დახვეწას, რაზეც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა. „***

2 კოლეჯი იყო ინფორმირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცაღა ისინი იყვნენ ჩართულნი გადამზადების პროცესში, მომართვიანობიდან გამომდინარე, ეს პროცესი უფრო მოქნილი იყო მათთვის, რადგანაც აღნიშნავდნენ, რომ არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები დახვეწას საჭიროებდა.

1 კოლეჯი არ აწარმოებდა არც გადამზადების პროგრამას და არც არაფორმალური განათლების აღიარებას (მომართვიანობის არ არსებობის გამო საკითხის საჭიროება არ დამდგარა), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებულნი არიან და აპირებენ ჩართვას პილოტირების რეჟიმში.

ასევე, პროფესიული განათლების ექსპერტის რეკომენდაციით, მოვინახულე ერთ-ერთი უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, რომელსაც ჰქონდა სერტიფიკატების გაცემის გამოცდილება აღნიშნულ საკითხზე. ამ პროცესში ჩართულმა ექსერტმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე აღარ გასცემენ სერტიფიკატებს, თუმცაღა წლების წინ, ჰქონდათ მიმართვა შედუღებაზე, მსურველმა რამდენიმე დღიანი გადამზადების შემდეგ აიღო კომპეტენციის დამადასტურებელი ცნობა. ექსპერტი საუბრისას აღნიშნავდა, რომ ძირითადად, **არაფორმალური განათლების აღიარება სურთ ნაწილობრივი კვალიფიკაციის მქონე**

პირებს და ისინი, შესაბამისად, გადამზადებას მაინც საჭიროებენ (რაც მისივე თქმით განპირობებულია იმით, რომ მოძველებული მეთოდებით აქვთ ხელობა ნასწავლი და ვერ უწყობენ თანამედროვე მოთხოვნებს ფეხს).

ერთ-ერთი კოლეჯის რეესტრის მწარმოებლის სპეციალისტი ინტერვიუს დროს ამბობდა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დიდ **პრობლემას წარმოადგენდა დაფინანსება.** რადგანაც არაფორმალური განათლების აღიარების **მსურველ პირებს ძირითადად არ გააჩნდათ საკმარისი თანხა სერტიფიკატის ასაღებად, სახელმწიფო ნაკლებად იყო ჩართული ამ პროცესში, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები არც თუ ისე ხშირად აფინანსებდნენ მათ** (ხშირად, დაფინანსების მისაღებად დიდი დრო სჭირდებოდათ).

ამგვარად, დაფინანსების საკითხი, მეტად საყურადღებოა. არაფორმალური განათლების აღიარების **საფასური რადგანაც არ იყო ცნობილი** (საფასურზე არაფერს ამბობდნენ კოლეჯის წარმომადგენლები და ელექტრონულადაც არ იყო ხელმისაწვდომი), **ინფორმაცია გამოვითხოვე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. საიდანაც, ასევე, ვერ მივიღე პასუხი.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კვლევამ აჩვენა, რომ ისინი მზად არიან უპასუხონ შრომის ბაზრის გამოწვევებს და ჩაერთონ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესში.

2019 წლის აპრილიდან ხორციელდება ფორმალური განათლების მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროექტი, 7კოლეჯი აწარმოებს; (განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი)

გაცემული სერტიფიკატების სიმწირემ, ასევე მასზე მკაცრი კონტროლის არ არსებობამ (რამაც გამოიწვია ასეთი სერტიფიკატის მფლობელის მიმართ უნდობლობა) , ხაზი გაუსვა სისტემის დახვეწის საჭიროებას.

უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ არც ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება არ აწარმოებდა აღრიცხვას იმის შესახებ, თუ რამდენი სერტიფიკატი გასცა არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფესიული განათლების ექსპერტმა მიპასუხა, რომ არ ხდებოდა გასული წლების მანძილზე გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვა და ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს არ აქვს ინფორმაცია იმ კოლეჯების რაოდენობის შესახებ, რომლებიც აწარმოებენ არაფორმალური განათლების აღიარებას, რაც, ვფიქრობ, წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ ხარვეზს).

3.2. პროფესიული განათლების ექსპერტების დამოკიდებულებები და შეფასებები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმებისა და იმ სიახლეების შესახებ ინფორმაციის გაგებისთვის, რომელიც იგეგმება უახლოეს მომავალში, საჭიროდ მივიჩნიე, ამ პროცესში ჩართულ ექსპერტებთან ინტერვიუები (ჩაღრმავებული ინტერვიუ);

წინასწარი ვარაუდით, არაფორმალური განათლების აღიარების არსებობის აუცილებლობა საქართველოში, განაპირობა ევროპასთან დადებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ, თუმცაღა ერთ-ერთი ექსპერტი საუბრისას აღნიშნავს, რომ -„ *მნიშვნელობა არ აქვს მოთხოვნა საერთაშორისოა თუ ეროვნული, ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებელი ითხოვს ამა თუ იმ ცოდნის ფორმალიზაციას, დასაქმებულს ავალებს ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას, ძირითადად, დამსაქმებელს ამის შემოწმება არ შეუძლია, ამიტომ* ***მნიშვნელოვანია, მიეცეს პირს საკუთარი ცოდნის დადასტურების შესაძლებლობა, ეს უნდა არსებობდეს გამართულ სისტემაში.“***

კვლევისთვის უმნიშვნელოვანესი იყო იმის გაგება, თუ რა უპირატესობები ექნებოდა არაფორმალური განათლების აღიარების ახალ მექანიზმებს, ძველთან შედარებით და ასევე, რა რისკები გააჩნდა აღნიშნულ პროცესს. ამასთან დაკავშირებით პროფესიული

განათლების ექსპერტი აღნიშნავს, რომ ყველაზე **დიდი პლუსი არის სისტემის მოქნილობა,** ადამიანს არ უწევს იგივეს სწავლა, რაც უკვე იცის, მაგალითისთვის -„ ***თუ პირი ამბობს, რომ იცის ინგლისური ენა, რადგანაც დედა ჰყავდა ინგლისურის მასწავლებელი და ესმოდა როგორ ამეცადინებდა მოსწავლეებს, მას შეეძლება ცოდნის დადასტურება და აღიარება.“*** აღნიშნული საკითხი **კერძო სექტორისთვისაც კომფორტულია,** თუკი მას სჭირდება კონკრეტული კვალიფიკაცია, არ არის აუცილებელი ამისთვის 2 წლიანი სწავლება, როცა პირმა რაღაც იცის, ხელახალი პროცესის გავლა აღარ სჭირდება, რადგანაც შედეგი უკვე სახეზეა (*იცის საკითხი, მიდის, იდასტურებს და მოაქვს სერტიფიკატი*).

რისკებს წარმოადგენს: სისტემური გაუმართავობა, რომელიც შესაძლოა კორუფციის დიდი წყარო იყოს, შესაძლოა პირებმა გაყიდონ სერტიფიკატები; ასევე, თუ კარგად არ არის დარეგულირებული ვინ უნდა შეასრულოს არაფორმალური განათლების აღიარება, შეიძლება ისეთი პირების ხელში აღმოჩნდეს ეს უფლება, ვინც ბოროტად გამოიყენებს; შესაძლოა არ იყოს სტანდარტიზებულად წარმართული პროცესი არათანაზომიერი იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადგილას ერთნაირად არ იყოს აღიარებული და მიწოდებული;

რისკებს წარმოადგენს ასევე არასწორად ინფორმირებული საზოგადოება, რომელთაც შესაძლოა მოლოდინთა განსხვავებულობა (ხშირად კომუნიკაცია და მოლოდინები არის განსხვავებული და შესაძლოა წავაწყდეთ იმედგაცრუებას), ამიტომ კარგად უნდა იყოს გამართული საინფორმაციო კამპანია (**იკვეთება კონსულტანტების როლი**).

დიდ რისკს წარმოადგენს იმ ადამიანთა კვალიფიკაცია, რომელიც ჩრთულნი არიან არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში, ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს: -„ *არ მომწონს მიდგომა, რომ ეს(არაფორმალური განათლების აღიარება) უნდა გააკეთონ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ამას უნდ აკეთებდეს კერძო სექტორი, დარგობრივი ასოციაციები, მათ*

აქვთ ჯანსაღი ინტერესი, რომ ბაზარზე მოხდეს კვალიფიციური კადრის შემოდინება, ისინი უფრო დაიცავენ ამ ჯანსაღ ინტერესს. ეს პრაქტიკა მოდის შრომის ბაზრიდან და არა, საგანმანათლებლო სექტორიდან, აქედან გამომდინარე, ისევ ბიზნესმა / დარგმა უნდა დაადასტუროს.“

აუცილებელია, სახელმწიფო დონეზე მოხდეს ლიცენზირება, რაც ჯერჯერობით არ ხორციელდება(ლიცენზია უნდა მოიპოვოს ამა თუ იმ სამუშაოსთვის პირმა, რათა დაცული იყოს უსაფრთხოება); (პროფესიული განათლების ექსპერტი)

არაფორმალური განათლების ახალი მექანიზმების უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ შემფასებელთა წრე გაიზარდა და სოციალური პარტნიორებიც ჩაერთვებიან აღნიშნულ პროცესში. ამჟამად, სამინისტრო მუშაობს, მონაწილეობას მიიღებს თუ არა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება. პროფესიული განათლების ორმა ექსპერტმა (რომლებიც წესის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულები), აღნიშნეს, რომ **მიმდინარე წლის დასრულებამდე, (2019) ამოქმედდება ახალი წესი, რომლის მიხედვითაც, შეფასების პროცესში ჩაერთვებიან შესაბამისი დარგის დამსაქმებლები.**

ახალი წესის მიხედვით, შეეძლებათ, როგორც 3 საფეხურის, ასევე 5 საფეხურამდე კვალიფიკაციის დადასტურება ან/და სწავლის გაგრძელება.

ის, რაც ამჟამად ინერგება არის - პილოტაჟის გაფართოება და სრული პროცესის დანერგვა ოთხ ეტაპიანი მოდელის მიხედვით - აღნიშნავს ექსპერტი.

2011 წლის შემდეგ: შემუშავდა კონცეფცია, მომზადდა გზამკვლევები, ჩატარდა ადამიანური რესურსების ტრენინგები, განხორციელდა მისიის შეფასება, წესის შეცვლა, პილოტირება. თავდაპირველი კანონი ადგენდა მინიმალურ მოთხოვნებს რა არის საჭირო არაფორმალური განათლების აღიარებისთვის; (განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **იქმნება ელექტრონული ბაზები,** რომლის მეშვეობითაც გაკონტროლდება ყველა ის პირი, რომელსაც სურს კვალიფიკაციის დადასტურება; ეს მოხდება სახელმწიფოს ჩართულობით, რაც **კორუფციის აღმოფხვრის საუკეთესო წინაპირობაა.** ასევე ელ.ბაზები უზრუველყოფენ სანდოობასა და გამჭვირვალობას, არ არსებობს ინფორმაცია რამდენი კოლეჯი აწარმოებდა არაფორმალური განათლების აღიარებას(განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), სერტიფიკატები ვერ ადასტურებდა სანდოობას.

არაფორმალური განათლების **აღიარების საფასურთან დაკავშირებით,** ექსპერტი განმარტავს, რომ - „რაც შეეხება საფასურს, ძალიან რთული პროცესია , რადგანაც თანაბარ დანახარჯს არ მოითხოვს ყველა კვალიფიკაციის დადგენა (ზოგიერთი შესაძლებლობის დადგენას ძალიან მცირე ხარჯი აქვს, მაგ. კომპიუტერული უნარების დადგენა) ამას **განსაზღვრავს სპეციალური კომისია,** საჭიროებიდან გამომდინარე;

3.3. ხელოსნების გამოცდილება არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით

ჩემი აზრით, დასაქმება არის ნებისმიერი ცოდნის გასამრჯელო, რასაც ჩვენ ვიღებთ ცხოვრებაში. სწორედ მისით განისაზღვრება ჩვენი განათლების, უნარებისა და ცოდნის ღირებულება. ასე რომ ვთქვათ, იმისთვის გვჭირდება რაღაც უნარების ათვისება, რომ კარგად „გავიყიდოთ“. ძალიან მნიშვნელოვანია, დასაქმებისას მიღებული საფასური იყოს ჩვენი შესაძლებლობების პირდაპირპროპორციული. ამიტომ, საინტერესო იყო იმის კვლევა, თუ :

- რამდენად ითხოვს დამსაქმებელი სამშენებლო სფეროში განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე კვალიფიციურ კადრს (რა კრიტერიუმებს უყენებს კომპანია დასაქმების მსურველებს), რამდენად აისახება ეს მის ანაზღაურებაზე.
- არაფორმალური განათლების მქონე ხელოსნები ფლობენ თუ არა ინფორმაციას განათლების აღიარების შესახებ;
- აქვთ თუ არა ხელოსნებს უცხოეთში მუშაობის გამოცდილება, თუ აქვთ, რა მოთხოვნებს უყენებს დამსაქმებელი(არსებობს თუ არა განსხვავება ამ კუთხით)

ზემოთ აღნიშნული საკითხების საკვლევად გამოვიკითხე ხელოსნები 21-დან 50 წლამდე (10 ხელოსანი, აქედან 3 საზღვარგარეთ მყოფი) და ასევე, რამდენიმე სამშენებლო კომპანია.

კვლევისას გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ვისაც არ ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, მშენებლობაზე საქმდებოდნენ ე.წ. „შავ მუშად“, დაბალი ხელფასით. საზღვარგარეთის შემთხვევაში სამივე ხელოსანმა აღნიშნა, რომ თუ ვინმემ რეკომენდაცია არ გაუწიათ (ეს კი უცხოური კომპანიების შემთხვევაში იშვიათია), არავინ ასაქმებს ხელოსნად, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.

გამოკითხული სამშენებლო კომპანიები თანამშრომლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (კოლეჯების დირექტორებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა ეს ფაქტი), ისინი სთხოვენ საგანმანათლებლო კურსის ხელმძღვანელებს, აცნობონ წარჩინებული სტუდენტის შესახებ (ასევე ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას განცხადებაც ჰქონდა გამოკრული სამშენებლო ფაკულტეტის შენობაში). საუბრისას ისინი აღნიშნავენ, რომ **კვალიფიციური კადრის აყვანით ისინი ნდობას იწვევენ საზოგადოებაშიც, ერგებიან ევროპულ სტანდარტებსა და ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების საკითხები.**

არაფორმალური განათლების აღიარების საკითხს დადებითად აფასებენ სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები, რადგანაც მათ ჰყავთ ასევე ძალიან კარგი გამოცდილი კადრი, რომელთაც შესაბამისი უნარების დამადასტურებელი ცნობა არ აქვთ და ეს უქმნით დისკომფორტს (დიპლომიან ხელოსანს უჩნდება პროტესტი რატომ ვუხდით იგივე ხელფასს „უდიპლომოს"-აცხადებს ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი).

20წლიანი მუშაობის (თავისი პროფესიით) გამოცდილების მქონე ხელოსანმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მას ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება სამშენებლო სფეროში და **დამსაქმებელი პირველ რიგში ყურადღებას მის განათლებას აქცევს, შემდეგ უშუალოდ ნახულობენ მისი შესრულებული სამუშაოს შედეგს და ასე საქმდება უკვე მრავალი წელია.**

აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ხელოსნების დიდ ნაწილს არაფერი სმენიათ არაფორმალური პროფესული განათლების აღიარების მექანიზმების შესახებ, თუმცა თითოეული ხელოსანი აღნიშნავდა ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის აუცილებლობას.

კვლევის ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მიდიოდა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მშენებლობაზე სამუშაოდ. მისი ცოდნის შესაბამისი ანაზღაურება რომ მომხდარიყო ამისთვის **გაიარა 3 თვიანი გადამზადების კურსები** შემდეგ ეტაპის პოზიციისთვის.

კვლევამ ნათელყო, რომ არაფორმალური განათლების აღიარების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, საჭიროებს მეტ საჯაროობასა და საზოგადოების დაინტერესებას. მისი გამართულად ფუნქციონირება აუცილებლად იქნება ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი.

დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგომარეობა არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით

- არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კოლეჯები ინფორმირებულები არიან;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არაფორმალური განათლების აღიარების პროცესს დადებითად აფასებენ;
- პრობლემა იკვეთება შემდეგ ნაწილში: არ არის ცნობილი სახელმწიფოში რამდენი კოლეჯი აწარმოებს/აწარმოებდა არაფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას; ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არ აღრიცხავდნენ სერტიფიკატების გაცემის სტატისტიკას. (ფაქტი ხაზს უსვამს პროცესის გაუმართაობას)
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებელთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კოლეჯებში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვას.
- კოლეჯების პრაქტიკამ ცხადყო, რომ არაფორმალური განათლების აღიარების წესი საჭიროებს დახვეწას.
- ძირითადად, ნაწილობრივი კვალიფიკაციის მქონე პირებს სურთ არაფორმალური განათლების აღიარება, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ისინი გადამზადებას მაინც საჭიროებდნენ.

- კოლეჯებისთვის პრობლემას წარმოადგენდა დაურეგულირებელი საფასურის საკითხი;
- სერტიფიკატების სანდოობის პრობლემა - კოლეჯების მიერ აღიარების სერტიფიკატების გაცემა არ კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ, რამაც უნდობლობა გამოიწვია ასეთი დაწესებულებების მიმართ.

პროფესიული განათლების ექსპერტების დამოკიდებულებებისა და შეფასებების ანალიზი არაფორმალური განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით

- არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების და ზოგადად, სისტემის მთლიანობა, დამოკიდებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე. რაც უკავშირდება შეფასებისა და სერტიფიცირების პროცესის გამართულობას.
- არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის ცვლილებაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რადგანაც ნათლად გამოავლინდა პროცესის დროს ხარვეზები.
- სისტემის გაუმართაობამ წარმოშვა კორუფციის საკითხი, რომლის გაკონტროლება ელექტრონული ბაზებით მოხდება.
- უდიდესი რისკი არსებობს ინფორმირების კუთხით; იკვეთება კვალიფიციური კონსულტანტების როლი;
- არაფორმალური განათლების აღიარების არსებობას ძირითადად დამსაქმებელთა მოთხოვნა განაპირობებს; შესაბამისად, შეფასების პროცესში მათი ჩართვა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა;
- ზემოაღნიშნული სისტემის დადებითი მხარე არის მისი მოქნილობა, დროის დაზოგვის მიზნით;

- არაფორმალური განათლების აღიარების მეშვეობით, უნდა მოხდეს ახალი სასწავლო შესაძლებლობების განვითარება.

ხელოსნებისა და დამსაქმებლის გამოცდილება არაფორმალურ განათლების აღიარებასთან დაკავშირებით

- ხელოსნის დასაქმების ერთ-ერთ წინაღობას წარმოადგენს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკომუნეტის არ არსებობა ;
- უკვალიფიკაციო ხელოსნები ძირითადად ვერ საქმდებიან საზღვარგარეთ;
- სამშენებლო კომპანიები თანამშრომლობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა ჰყავდეთ კვალიფიციური კადრი, რაც საზოგადოების ნდობის გამომწვევი ფაქტორია.
- სოციალური პარტნიორების მხრიდან იზრდება ინტერესი არაფორმალური განათლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით; მათ ხშირად სჭირდებათ კონკრეტული უნარების აღიარება სამუშაოების შესასრულებლად;
- ხელოსანთა გამოცდილება ვერ ფარავს მთელ კვალიფიკაციას (ინდივიდუალური სამუშაოების ვიწრო სპექტრიდან გამომდინარე);
- არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასსაქმებისა და მიგრაციის პოლიტიკა;

რეკომენდაციები

- სისტემის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის საჯაროობისა და გამჭვირვალობის მიზნით, სასურველია, ელექტრონული ბაზების არსებობა და მისი მკაცრი კონტროლი შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან (მაგ. კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა);
- სასურველია, არაფორმალური განათლების აღიარების წესის დახვეწის მიზნით, პროცესში ჩართულნი იყვნენ , როგორც განათლების ექსპერტები, ასევე, პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და გამოცდილების მქონე პირები (არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, თითოეული შეიტანს სათანადო წვლილს საკითხის დახვეწაში) ;
- სასურველია, სახელმწიფო ჩაერთოს არაფორმალური განათლების აღიარების დაფინანსებაში ან შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები დაეხმარონ აღიარების მსურველ პირებს დამფინანსებლების მოძიებაში , რადგანაც ერთ-ერთ უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს შესაბამისი სახსრების არ ქონა.
- სასურველია, სერტიფიკატების გაცემის პროცესი სახელმწიფო დონეზე გაკონტროლდეს, მკაცრად განისაზღვროს აღიარების დამადასტურებელი სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციების კვალიფიკაცია (აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრს);
- სასურველია, შეფასებისა და სერტიფიცირების პროცესი იყოს მაქსიმალურად დარეგულირებული თითოეული ორგანიზაციისთვის;

- **სასურველია, ადამიანთა სწორი ინფორმირება განათლების აღიარების სარგებლის შესახებ, შესაბამისი რჩევებისა და მითითებების მიცემა, რასაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების არსებობა;**

გამოყენებული ლიტერატურა

არაფორმალური განათლების (VNFIL) აღიარების გზამკვლევი მოდულისათვის "მეწარმეობა", თბილისი, 2017

არაფორმალური განათლების (VNFIL) აღიარება -გზამკვლევი. GAEN 2017

MCA საქართველო, პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის, არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვა საქართველოში, კონცეფცია, თბილისი, ოქტომბერი, 2015

არაფორმალური განათლების აღიარება, გზამკვლევი, ოქტომბერი, 2016

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება (https://matsne.gov.ge, 2014)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №171/ნ - ვებგვერდი, 07.09.2012წ.

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2018

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების სიტუაციური ანალიზი (http://iswd.geივნისი, 2015)

2017-2018 წლების ანგარიში, პროფესული განათლება

www.liberali.ge, გორგოძე, 16/11/2016

http://gov.ge/files/273_39678_242377_300-1.pdf

www.kpc.ge

Recognition, Validation and Accreditation of Non-formal and Informal Learning in UNESCO Member States, 2015

European Guidelines for validating non-formal and informal learning, CEDEFOP, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2009)

www.france-libertes.org/fr/ ივნისი, 2019

www.ec.europa.eu/ მაისი, 2019

დანართი 1

დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი

,,ახალი ტალღა“ დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს

N 01-04/121 ბრძანებით

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯის „ახალი ტალღა“

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-10 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ №8/ნ ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წინაპირობები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად (შემდგომში - მაძიებელი) დაიშვება, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მიღებისათვის და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

მუხლი 4. წარსადგენი დოკუმენტაცია და განცხადების განხილვის პროცედურები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა კოლეჯს უნდა წარუდგინოს პორტფოლიო, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი, შრომითი ხელშეკრულება და ა.შ.).

დ) საბაზო საფეხურის ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე.

ე) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი.

2. კოლეჯი უფლებამოსილია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

3. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია:

ა) ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება. არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა, გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ბ) კოლეჯი ამოწმებს განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა,

უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

მუხლი 5. უფლებამოსილი ორგანო და კომისიის შექმნა

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწესებულებაში არსებული კომისია.

2. კოლეჯის დირექტორი ამ წესის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი პირის მიერ წარდგენილი პორტფოლიოს საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლად ცნობის ან მაძიებლად ცნობაზე უარის თქმის შესახებ და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

ა) დამსაქმებელთა წარმომადგენელი.

ბ) საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი (დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი).

გ) შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები.

დ) დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისია უფლებამოსილია დაიწყოს მუშაობა თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 6. გადაწყვეტილების მიღება

1. კოლეჯი ამოწმებს აღიარების შესახებ განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის/გამოცდების ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება გამოცდის/გამოცდების ჩატარების ადგილი და დრო, ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურებულია განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

2. გამოცდა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ფორმატით: ტესტირება, ზეპირი გამოკითხვა, წერითი სამუშაო, პრეზენტაცია, პრაქტიკული უნარების შემოწმება, დემონსტრირება.

3. გამოცდა ინიშნება აღიარების შესახებ განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა.

4. გამოცდას ატარებს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ შექმნილი კომისია.

5. გამოცდაზე კომპეტენციების შემოწმება შესაძლოა განისაზღვროს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

6. ინფორმაცია შესამოწმებელი კომპეტენციების შესახებ, გამოცდის ადგილი, თარიღი და დრო არაფორმალური აღიარების მაძიებელს ეცნობება გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

7. არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის მიერ გამოცდის შედეგები ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმით, სადაც მიეთითება არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში - მითითება იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითება შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ და შესაბამისი დასაბუთება.

8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დაშვებისათვის საგამოცდო კომისია ახდენს გამოცდის მეთოდების მოდიფიციერებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

9. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით განმეორებითი გამოცდა არ ინიშნება

10. წარდგენილი დოკუმენტაციის, გამოცდის შედეგების გათვალისწინებითა და კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ 5 დღის ვადაში გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

11. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში –მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;

ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

12. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

13. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით. (https://www.kpc.ge/)

დანართი 2

შეხვედრის თარიღი	განხილული თემები/ შესრულებული აქტივობები	იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო გამოცდილება	არსებული მტკიცებულებების ბუნება	სამომავლო ნაბიჯ

(არაფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი, ოქტომბერი, 2016)

დანართი 3

(არაფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი, ოქტომბერი, 2016)

სახელი:	I.D. No.

პორტფოლიოს მტკიცებულებები

მოდული:	Ref. No.

მტიცებულების No	მტკიცებულების აღწერა	სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები